# საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის

## ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 1825

თბილისი „26“ „12“ 2007წ.

### შპს „საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანია“-ზე გარემოზე ზემოქმედების ნებართვის გაცემის შესახებ

„ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის 24 მუხლის, მე-4 პუნქტისა და საქართველოს მთავრობის 2005 წლის, 1 სექტემბრის №154 დადგენილებით დამტკიცებული „გარემოზე ზემოქმედების ნებართვის გაცემის წესისა და პირობების შესახებ“ დებულების მე-3 მუხლის, პირველი პუნქტის, თ) ქვეპუნქტის საფუძველზე

### ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გაიცეს შპს „საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანია“-ზე გარემოზე ზემოქმედების ნებართვა – ყარადაღ-თბილისის 471,8-473,3კმ. მდ. მტკვრის საჰაერო გადასასვლელის 500 მმ მაგისტრალური გაზსადენის რეაბილიტაციაზე;
2. ნებართვის მფლობელმა უზრუნველყოს სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნით გათვალისწინებული სანებართვო პირობების შესრულება;
3. ნებართვა გაიცეს განუსაზღვრელი ვადით;
4. ეს ბრძანება დაუყონებლივ გაეგზავნოს ნებართვის მფლობელს
5. ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს მთავრობაში (ქ. თბილისი, ინგოროყვას ქუჩა) ან ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: ქ. თბილისი, სარაჯიშვილის ქ. №1) მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში.

*საფუძველი:* სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა №44; 24.12.07წ. და ლიცენზიებისა და ნებართვების დეპარტამენტის უფროსის გიორგი ცხაკაიას მოხსენებითი ბარათი

დავით ჩანტლაძე
მინისტრი

*გაეგზავნა:* ლიცენზიებისა და ნებართვების დეპარტამენტს, გარემოს დაცვის ინსპექციას, ნებართვის მიმღებ სუბიექტს